რეგულაცია ინვესტორთა საბჭოს ორგანიზაციული მოწყობისადა ფუნქციონირების შესახებ

მუხლი 1. რეგულაციის სამართლებრივი საფუძველი

წინამდებარე რეგულაცია ინვესტორთა საბჭოს ორგანიზაციული მოწყობისა და ფუნქციონირების შესახებ ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N829 განკარგულებას „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების, ინვესტორთა საბჭოს შექმნისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

მუხლი 2. მიზანი

წინამდებარე რეგულაცია მიზნად ისახავს, განსაზღვროს:

ა) ინვესტორთა საბჭოს ორგანიზაციული მოწყობისა და ფუნქციონირების შინაგანაწესი;
ბ) ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს, როგორც ინვესტორთა საბჭოს სისტემაში არსებული საორგანიზაციო და აღმასრულებელი სტრუქტურის, ვალდებულებები, ფუნქციები და კომპეტენციები;
გ) პრინციპები და პროცედურები, რომელთა საფუძველზეც ინვესტორთა საბჭოს სამდივნო ასრულებს თავის მოვალეობებს, ფუნქციებსა და კომპეტენციებს.

მუხლი 3. ინვესტორთა საბჭოს სამართლებრივი სტატუსი

ინვესტორთა საბჭო არის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მიზნად ისახავს დიალოგის წარმოებას კერძო სექტორის მეწარმე სუბიექტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დონორებსა და საქართველოს მთავრობას შორის ხელსაყრელი, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და სამართლიანი ბიზნეს და საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად.

მუხლი 4. აბრევიატურა, ლოგოტიპი და ბეჭედი

4.1 ინვესტორთა საბჭოს ინგლისურენოვანი აბრევიატურაა „IC“.

4.2 ინვესტორთა საბჭოს ბეჭედზე უნდა იკითხებოდეს: საქართველო, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო(IC).

მუხლი 5. ინვესტორთა საბჭოს საქმიანობის სფერო

ინვესტორთა საბჭოს საქმიანობის სფერო მოიცავს:

ინვესტორთა საბჭო პასუხისმგებელია, ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელ პირებსა და, მეორე მხრივ, კერძო სექტორს შორის კონსტრუქციული დიალოგის და აზრთა გაცვლის უზრუნველყოფაზე, რათა გაუმჯობესდეს და სტიმულირებული იქნეს ქვეყანაში ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატი. ინვესტორთა საბჭო ყოველივე ამას ახორციელებს შემდეგი მექანიზმებით:

ა) კერძო სექტორთან სისტემატიური კონსულტაციების გამართვა, რათა გამოვლინდეს პრიორიტეტული საკითხები, მათი ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე განხილვის მიზნით, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე მონიტორინგის გზით და ინვესტორთა საბჭოს არსებობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მეშვეობით;

ბ) ინვესტორთა საბჭოს სხდომების მომზადება, მათ შორის დღის წესრიგის განსაზღვრა კერძო სექტორიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რაც კოორდინირებული იქნება მთავრობასთან და განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტებთან;

გ) ინვესტორთა საბჭოს პერიოდული სხდომების შემდეგ საქართველოს მთავრობისადმი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების წარდგენა;

დ) რეფორმების, სამოქმედო გეგმების ან ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე მიღებული შეთანხმებების მსვლელობაზე მონიტორინგი.

მუხლი 6. ინვესტორთასაბჭოს ფუნქციონირებისა დაორგანიზაციული მოწყობის პრინციპები

ინვესტორთა საბჭო ორგანიზებულია და ფუნქციონირებს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

ა) გამჭვირვალობის პრინციპი, ინვესტორთა საბჭოს გადაწყვეტილებების, რეკომენდაციებისდასხდომისდღისწესრიგისგამოქვეყნებითსაბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

ბ) ინკლუზიურობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფილია ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენელთათვის საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობით.

მუხლი 7. ინვესტორთა საბჭოს საქმიანობა

7.1 ინვესტორთა საბჭოს საქმიანობა განისაზღვრება ურთიერთგაგების მემორანდუმით, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და საქართველოს მთავრობას შორის 2015 წლის 12 აპრილს გაფორმდა.

7.2 დასახული მიზნების შესასრულებლად და საქმიანობის განსახორციელებლად, ინვესტორთა საბჭო ახორციელებს ბიზნეს გარემოს მონიტორინგს და ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას:

ა) წარადგენს იურიდიული და ეკონომიკური პროფესიონალური ექსპერტიზით გამყარებულ კონსოლიდირებულ წინადადებებს, ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილების და/ან დახვეწის მიზნით;

ბ) ინვესტორთა საბჭოს ფუნქციონირების საჭიროებებისთვის და სამდივნოს ფინანსური უფლებამოსილების და პროცედურების შესაბამისად ქირაობს სპეციალისტებს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების გზების შესასწავლად.

7.3 ზემოთხსენებული 7.2 პუნქტის მიუხედავად, ინვესტორთა საბჭო უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი სხვა ამოცანა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N829 განკარგულების შესაბამისად.

მუხლი 8. ინვესტორთა საბჭოს ფუნქციონირება

8.1 ინვესტორთა საბჭოს ყოველდღიური საქმიანობა ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მეშვეობით წარიმართება, რომელიც არის ორგანიზაციული და აღმასრულებელი სტრუქტურა და რომელსაც არ აქვს რაიმე პოლიტიკური კუთვნილება.

8.2 წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ინვესტორთა საბჭოს არანაკლებ 4 (ოთხი) სხდომისა, რომელთა თარიღები და სიხშირე სამდივნოს მიერ იქნება შემოთავაზებული ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით და რომელიც საბოლოოდ შეთანხმდება ინვესტორთა საბჭოს წევრებთან ინვესტორთა საბჭოს სხდომებისდროს.

8.3 ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი რომელიმე მუდმივი წევრის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია დამატებითი რიგგარეშე სხდომის მოწვევა კონკრეტული დღის წესრიგის ან/და ნებისმიერი სპეციფიკური საკითხის განხილვის აუცილებლობიდან გამომდინარე.

8.4 ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგის შესათანხმებლად საკონსულტაციო პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინვესტორთა საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, იმისათვის რომ თითოეულ სხდომაზე განსახილველი საკითხები სათანადოდ იქნეს ჩამოყალიბებული (ფორმულირებული), გაანალიზებული და გამიზნული მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად.

8.5 ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგი მომზადდება ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მიერ შემდეგი პროცესის გამოყენებით:

ა) ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების უზრუნველსაყოფად, ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ უნდა შექმნას და იქონიოს ინვესტორთა საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ პირს შესთავაზოს ინვესტორთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საკითხი. ამასთანავე, შეთავაზებები ინვესტორთა საბჭოს სხდომებისათვის მიღებულ უნდა იქნეს ნებისმიერი დაინტერესებული მხარისგან, რომელსაც წვდომა არ გააჩნია საბჭოს ოფიციალურ გვერდზე;

ბ) სამდივნომ უნდა დანერგოს და გამოიყენოს დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხების პრიორიტეტულობის მიხედვით დახარისხების მექანიზმი კერძო სექტორისთვის აქტუალურობის ფაქტორის, ინვესტიციებსა და სამუშაო ადგილებზე გავლენის და რეფორმების განხორციელების პერსპექტივის მიხედვით;

გ) ინვესტორთა საბჭოს ყოველ ცალკეულ სხდომაზე სამდივნო მოკლე პრეზენტაციას გააკეთებს ფილტრაციის პროცესის შედეგებზე და წინადადებას წამოაყენებს შემდეგ სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე. პროცესის ამ ეტაპზე ინვესტორთა საბჭოს წევრებს შეუძლიათ ცვლილებების ან დამატებების შეთავაზება, რასაც უნდა მოყვეს განსახილველ თემებზე კენჭისყრა.

8.6 დღის წესრიგის პროექტი შეთანხმებულად ჩაითვლება თუ მას ბიზნეს სექტორისა და საერთაშორისო განვითარების პარტნიორების წევრების 75% ეთანხმება. ამ ეტაპის გავლის შემდეგ დღის წესრიგი დასამტკიცებლად წარედგინება ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარეს.

8.7 ინვესტორთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგს განსახილველად სამდივნოს მოთხოვნის საფუძველზე ემატება მის წევრთა ნახევარზე მეტის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი საკითხი, რომელიც გათვალისწინებული არ ყოფილა დამტკიცებულ დღის წესრიგში.

8.8 ინვესტორთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგის გამჭვირვალობა მის წევრებთან და ბიზნეს წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში ხანგრძლივი კონსულტაციების პროცესს გულისხმობს.

მუხლი9. ინვესტორთა საბჭოს სხდომის ქვორუმის მოთხოვნები

ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე ქვორუმი ითვლება მიღწეულად, თუ მას ესწრება წევრთა 50 პროცენტზე მეტი.

მუხლი 10. დაფინანსების წყაროები

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს დაფინანსებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უზრუნველყოფს პირველი ორი წლის განმავლობაში დონორებისგან მოზიდული სახსრებიდან. ხსენებულ დაფინანსებაში არ იგულისხმება სამდივნოს საოფისე ფართის საიჯარო ქირა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ უნდა იქნეს გამოყოფილი იმავე ვადით. მითითებული პერიოდის შემდეგ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და საქართველოს მთავრობა მოახდენენ ინვესტორთა საბჭოს ეფექტურობის შეფასებას და განიხილავენ დაფინანსების განახლების შესაძლებლობებს მათ შორის შეზღუდვის გარეშე ბიზნეს წრეების დახმარებით.

მუხლი 11. ფინანსური რესურსის გამოყენება

11.1 ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მიერ სხვადასხვა წყაროდან მიღებული დაფინანსება გამოიყენება შესაბამისი დონორ(ებ)ის მიერ წინასწარ განსაზღვრული პროცედურების მიხედვით და მხოლოდ ინვესტორთა საბჭოს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

11.2 დაფინანსებაში მონაწილე უცხოურმა ან ადგილობრივმა დონორებმა ინვესტორთა საბჭოს სამდივნოდან შეთანხმებული პროცედურების დაცვით სისტემატიურად უნდა მიიღონ ინფორმაცია დაფინანსების გამოყენების შესახებ.

მუხლი 12. ინვესტორთა საბჭოს ორგანოები

ინვესტორთა საბჭოს ორგანოებია:

- ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე;
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნო.

მუხლი 13. ინვესტორთა საბჭოს წევრობა

13.1 ინვესტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

13.2 ინვესტორთა საბჭო შედგება მუდმივი და არამუდმივი სტატუსის მქონე წევრებისგან.

ა) საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ინვესტორთა საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
- ფინანსთა მინისტრი;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;
- იუსტიციის მინისტრი

ბ) საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციებისა ან/და განვითარების საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციებიდან:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD);

გ) ორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუცია ან/და განვითარების საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაცია ინვესტორთა საბჭოს არამუდმივი (საროტაციო) წევრის სტატუსით:

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია; და
- დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში.

როტაციის პერიოდი განისაზღვრება ინვესტორთა საბჭოს რვა სხდომით.

დ) ბიზნეს წრეების წარმომადგენლები ინვესტორთა საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსით: ხუთი ბიზნეს ასოციაცია:

- საქართველოს ბიზნეს ასოციაცია;
- ამერიკის სავაჭრო პალატა;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნეს საბჭო;
- საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

ე) ორი ბიზნეს ასოციაცია როტაციის პრინციპით წარმოდგენილია ინვესტორთა საბჭოში არამუდმივი წევრის სტატუსით, ხმის უფლების გარეშე. როტაციის პერიოდი განისაზღვრება ინვესტორთა საბჭოს რვა სხდომით.

ვ) საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენი.

13.3 არამუდმივი მანდატის მქონე წევრების მონაწილეობას და სტუმრების მოწვევას ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე ორგანიზებას უწევს ინვესტორთა საბჭოს სამდივნო. ეს ხორციელდება გამჭვირვალე პროცესით ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსის მხრიდან თავმჯდომარისადმი რეკომენდაციის საფუძველზე, მუდმივ წევრებთან და ბიზნეს წრეებთან კონსულტაციების შემდეგ.

13.4 სამდივნოსადმი შეტყობინების გაგზავნით ინვესტორთა საბჭოს ნებისმიერ წევრს შეუძლია, მოითხოვოს სხვა მხარის - მაგ. საჯარო დაწესებულებების, კომპანიების ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე ნებისმიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

13.5 მუდმივი/არამუდმივი სტატუსის მქონე წევრები ან სხვა მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებს ინვესტორთა საბჭოს სხდომებში, არ არიან უფლებამოსილნი, მიიღონ ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე სახის ანაზღაურება.

13.6 ცვლილებებს ინვესტორთა საბჭოს შემადგენლობაში ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე ევრობანკის წარდგინებით საბჭოს მუდმივმოქმედ წევრებთან კონსულტაციისა და ხმის მიცემის პროცესის შემდგ, კერძოდ:

მემორანდუმით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, ბიზნესის წარმომადგენლებიდან ახალი არამუდმივი წევრის დანიშვნის მიზნით, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო აცხადებს წევრობის განაცხადების მიღებას თავის ინტერნეტის გვერდზე. წევრობის მსურველებს უნდა მიეცეთ 14 დღე მაინც წევრობის განაცხადის წარსადგენად.

მსურველთა წერილობითი განაცხადების საფუძველზე ინვესტორთა საბჭოს სამდივნო ამზადებს წევრობის კანდიდატების საბოლოო სიას შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

წევრობის მსურველი უნდა იყოს:

- სოლიდური რეპუტაციის და მაღალი ავტორიტეტის მქონე ბიზნეს ორგანიზაცია;
- წარმოადგენდეს ეკონომიკური სექტორის მნივშენლოვან ნაწილს, მნიშვნელოვან ინდუსტრი(ებ)ას ან ბიზნესებს, საქართველოსთან დაკავშირებული ინტერესით;
- დაადასტუროს საბჭოს და მის სამუშაო ჯგუფების მუშაობაში წვლილის შეტანის მზადყოფნა და უნარი;
- გამოკვეთოს საკვანძო საკითხები, ქვეყნის გამოწვევები, რომელსა იგი როგორც წევრი დააყენებს სამსჯელოდ საბჭოს წინაშე.

გარდა ამისა, უპირატესობა მიენიჭებათ წევრობის მსურველებს, რომელთაც წევრობაზე განაცხადის წარდგენამდე საქართველოში საქმიანობის სამ წელზე მეტი გამოცდილება აქვთ.

საბოლოო სიაში შეყვანილი კანდიდატებთან ტარდება კენჭისყრა, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტების და განვითარების საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციების წარმომადგენელი წევრების, ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენელი მუდმივი წევრების და ბიზნეს ომბუდსმენის მონაწილეობით (ხმის უფლების მქონე წევრები).

წევრობის კანდიდატი/კანდიდატები, რომელთაც მიიღეს მეტი ხმები, მაგრამ არანაკლებ ხმების უმრავლესობისა, საერთაშორისო ფინანსური ინტიტუტებისა და განვითარების საერთაშორისო პარტნიორების ხმების უმრავლესობის ჩათვლით, ჩაითვლებიან კანდიდატებად, რომელთაც რეკომენდაცია გაეწიათ საბჭოს წევრობაზე და უნდა წარედგინოს საბჭოს თავმჯდომარეს საბოლოო დამტკიცებისა და დანიშვნის მიზნით.

წევრი შეიძლება გაირიცხოს საბჭოდან ხმის უფლების მქონე წევრების ¾-ის გადაწყვეტილებით საერთაშორისო ფინანსური ინტიტუტებისა და განვითარების საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების ხმების უმრავლესობის ჩათვლით.

საერთაშორისო ფინანსური ინტიტუტებისა/განვითარების საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელი არამუდმივი წევრების როტაცია ხორციელდება ევრობანკის წინადადებისა და საბჭოს თავმჯდომარის მისი დამტკიცების საფუძველზე ცალკეული ორგანიზაციების მოწვევის გზით.

საბჭოს წევრს აქვს საბჭოს წევრობაზე უარის თქმის უფლება.

მუხლი14. ინვესტორთა საბჭოს წევრების უფლება-მოვალეობები

14.1 ინვესტორთა საბჭოს წევრებს უფლება აქვთ:

ა) პირადად და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ინვესტორთა საბჭოს სხდომებში;
ბ) ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით წამოაყენონ წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები და შესთავაზონ ცვლილებები;
გ) მიიღონ მონაწილეობა ინვესტორთა საბჭოს მიერ განხილულ ან/და დამტკიცებული რეკომენდაციების მომზადებაში;
დ) დროულად მიიღონ სრული ინფორმაცია ინვესტორთა საბჭოს მიერ განსახილველი საკითხის შესახებ;
ე) ინვესტორთა საბჭოს ორგანოების შეხვედრებს დაესწრონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ;
ვ) გამოითხოვონ ნებისმიერი ინფორმაცია ინვესტორთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების მსვლელობის შესახებ;
ზ) ითანამშრომლონ ბიზნეს წრეებთან, მთავრობასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით.

მუხლი 15. ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე

15.1 ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს ინვესტორთა საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი და დრო;
ბ) დაამტკიცოს ინვესტორთა საბჭოს ყველა სხდომის შემოთავაზებული დღის წესრიგი სამდივნოს უფროსისგან მიღებული წინადადებების საფუძველზე;
გ) მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე გამართული განხილვებისა და წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.

მუხლი 16. ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ფუნქციები

16.1 ინვესტორთა საბჭოს სამდივნო შეიქმნა და ფუნქციონირებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N829 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2015 წლის 12 აპრილს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე.

16.2 მისი ძირითადი ფუნქციები გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ

შემდეგით:

ა) ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარისთვის ამზადებს წინადადებებს წევრებთან მჭიდრო კოორდინაციის გზით არამუდმივი წევრების როტაციის პრინციპის და ინვესტორთა საბჭოს ცალკეულ სხდომებში სხვა პირების მონაწილეობის შესახებ;

ბ) ინვესტორთა საბჭოს წარუდგენს შემდეგი სხდომის დღის წესრიგს, ინვესტორთა საბჭოს წევრებისგან, ისევე როგორც ბიზნეს წრეებიდან მიღებული და პრიორიტეტების მიხედვით დახარისხებული საკითხების საფუძველზე;

გ) ორგანიზებას უწევს ინვესტორთა საბჭოს სხდომებს და იწვევს მესამე მხარეებს ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით;

დ) ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან თანამშრომლობის გზით შემდეგი სხდომის დღის წესრიგს წარუდგენს ინვესტორთა საბჭოს და სხდომის ჩანიშნულ თარიღამდე არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა უგზავნის ინვესტორთა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს;

ე) კოორდინაციას უწევს ინვესტორთა საბჭოს საქმიანობას შესაბამის სამინისტროებთან ურთიერთობისას, ბიზნეს წრეებთან საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებას ახდენს ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე მათი ინიციატივით განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;

ვ) ეხმარება ინვესტორთა საბჭოს იმ კონკრეტული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ინიციატივების გაცნობასა და მიმოხილვაში, რომლებიც მიეწოდა სამდივნოს და აცნობებს ინვესტორთა საბჭოს სამომავლო სხდომებისთვის შემოთავაზებული საკითხების შესახებ;

ზ) კოორდინაციას უწევს ბიზნეს წრეებთან, მთავრობასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობას, რათა მუდმივი სტატუსის მქონე წევრების წინადადებებში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მხარის ინტერესები და იმავდროულად უზრუნველყოფილი იქნეს საბჭოს მუშაობის ინკლუზიურობა და გამჭვირვალობა;

თ) ამზადებს ინვესტორთა საბჭოს სხდომების ოქმებს და დასამტკიცებლად უგზავნის წევრებს სხდომიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

ი) ინვესტორთა საბჭოს წინადადებების განხორციელებას უჭერს მხარს და შესრულების შესახებ ანგარიშს აწვდის ინვესტორთა საბჭოს წევრებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს რეკომენდაციების განხორციელების კუთხით მიღწეული წინსვლის შესახებ;

კ) ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას ინვესტორთა საბჭოს საქმიანობის შესახებ, რაშიც ძირითადად იყენებს ინვესტორთა საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდს როგორც ხელმისაწვდომ საინფორმაციო საშუალებას;

ლ) შეიმუშავებს, ინარჩუნებს და ცვლილებები შეაქვს პროცედურულ წესებში ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ეფექტიანი მუშაობის

უზრუნველსაყოფად;

მ) სამდივნოს თანამშრომლების სამსახურში აყვანა ხდება გამჭვირვალე, საჯარო და კონკურენტული წესით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეთვალყურეობისა და დამტკიცების გზით;

ნ) სამდივნო პასუხისმგებელია ურთიერთობის წარმართვაზე ბიზნეს წრეებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, დონორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებთან და სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო უწყებებთან.

მუხლი 17. ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს თანამშრომლების შემადგენლობა დავალდებულებები

17.1 ინვესტორთა საბჭოს სამდივნო შედგება შემდეგი სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებისგან:

- ინვესტორთა საბჭოს სამდივნოსუფროსი;
- ადმინისტრაციული ასისტენტი;
- 1 (ერთი) სამართლებრივი ექსპერტი;
- 1 (ერთი) ბიზნესის ანალიტიკოსი.

17.2 მოკლევადიანი ექსპერტები (ადგილობრივი ან საერთაშორისო) საჭიროებისამებრ და დაფინანსების არსებობის პირობებში.

მუხლი 18. კომუნიკაცია

18.1 ინვესტორთა საბჭო ოფიციალური მიმოწერისთვის იყენებს წინასწარ დამტკიცებულ ფორმატს, ლოგოტიპისა და ბეჭდის ჩათვლით.

18.2 ნებისმიერ მხარესთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია შესრულდება წერილობითი ფორმით, რათა ჩაითვალოს მისაღებ დოკუმენტად წინამდებარე რეგულაციის მიზნებისათვის.

18.3 გამჭვირვალობის ფარგლებში სამდივნო შექმნის და ადმინისტრირებას გაუწევს ინვესტორთა საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდს, გამოუშვებს პერიოდულ საინფორმაციო მასალებს, რაც მიმართული იქნება საზოგადოების ინფორმირებისაკენ ინვესტორთა საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 19. ინვესტორთა საბჭოს წლიური ანგარიში

ინვესტორთა საბჭოს წლიური ანგარიშები, რომლებიც ქვეყნდება წინა კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორ თვეში, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციით:

ა) ინვესტორთა საბჭოს მისიას და პრიორიტეტებს კალენდარული წლისათვის, რომლის შესახებაც მომზადდა ანგარიში;
ბ) ინვესტორთა საბჭოს შემადგენლობას შესაბამისი კალენდარული წლისათვის;
გ) ინვესტორთა საბჭოს მიერ განხილულ საკითხებს და თემებს საანგარიშო პერიოდისთვის;
დ) საკონსულტაციო კომისიებს, მათ შემადგენლობას და რეკომენდაციებს;
ე) მთავრობისა და საპარლამენტო კომისიებისთვის მიწოდებულ რეკომენდაციებს;
ვ) აღნიშნული რეკომენდაციების გავლენას საკანონმდებლო ცვლილებებზე;
ზ) მომდევნო წლისთვის ინვესტორთა საბჭოს პრიორიტეტებს და ძირითად საკითხებს.

მუხლი 20. წინამდებარე რეგულაციის მოქმედება

20.1 წინამდებარე რეგულაცია ძალაში შედის ინვესტორთა საბჭოს საინაუგურაციო შეხვედრაზე დამტკიცებისშედეგად.

20.2 წინამდებარე რეგულაცია გასაჯაროვდება და ხელმისაწვდომი გახდება ბიზნეს წრეებისა და საზოგადოებისთვის, სახელმწიფო უწყებების, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის.